სამუშაოთი კმაყოფილება, მიღწეული იდენტობა, თვითშეფასება და ცხოვრებით კმაყოფილება, როგორც მასწავლებლების საქმიანობის მოტივაციის პრედიქტორები

სალომე ნებიერიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა მაყაშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე ნებიერიძე

8 ივნისი 2023

აბსტრაქტი

მთელი მსოფლიოს მასშტაბით მასწავლებლობა ერთ-ერთ ყველაზე საპასუხისმგებლო საქმიანობად მიიჩნევა, რადგან პედაგოგები პასუხისმგებელნი არიან მომავალი თაობის ჩამოყალიბების პროცესზე და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მათ განვითარებაში. ნებისმიერი საქმიანობის ეფექტურად შესრულებას შესაბამისი მონდომება და მოტივაცია სჭირდება. გამონაკლისს არც პედაგოგები წარმოადგენენ, რასაც არაერთი საერთაშორისო კვლევა მოწმობს. სწორედ ამიტომ, წინამდებარე კვლევა სკოლის მასწავლებლების მოტივაციასა და მასზე მოქმედ ფაქტორებს შეისწავლის. კერძოდ, კვლევის მიზანია, გაირკვეს, არის თუ არა მასწავლებლების სამუშაო კმაყოფილება, მიღწეული იდენტობა (ზრდასრული და სოციალური), თვითშეფასება და ცხოვრებით კმაყოფილება მათი საქმიანობის მოტივაციის პრედიქტორები. სხვა სიტყვებით, მოცემული კვლევის შედეგის ცვლადი საქმიანობის მოტივაციაა, რომელიც ექვსი ქვესკალითაა წარმოდგენილი: შინაგანი მოტივაცია, ინტეგრირებული რეგულაცია, იდენტიფიცირებული რეგულაცია, ინტროეცირებული რეგულაცია, გარეგანი რეგულაცია და ამოტივაცია. ხელმისაწვდომი შერჩევის გამოყენებით, კვლევაში მონაწილეობა საქართველოში მცხოვრებმა სხვადასხვა საგნის მასწავლებელმა (N = 194) მიიღო. კვლევამ აჩვენა, რომ 1) სამუშაოთი კმაყოფილება არის შინაგანი მოტივაციის, ინტეგრირებული რეგულაციის, იდენტიფიცირებული რეგულაციის დადებითი და ამოტივაციის – უარყოფითი პრედიქტორი; 2) სოციალური იდენტობა არის შინაგანი მოტივაციის, ინტეგრირებული რეგულაციის, იდენტიფიცირებული რეგულაციისა და ინტროეცირებული რეგულაციის დადებითი პრედიქტორი; 3) თვითშეფასება არის ამოტივაციის უარყოფითი პრედიქტორი; 4) ცხოვრებით კმაყოფილება არის შინაგანი მოტივაციის, ინტეგრირებული რეგულაციისა და იდენტიფიცირებული რეგულაციის დადებითი პრედიქტორი. ნაშრომში, ლიტერატურის საფუძველზე, მიღებული შედეგებს განხილავს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მასწავლებლობა, საქმიანობის მოტივაცია, სამუშაოთი კმაყოფილება, იდენტობა, თვითშეფასება, ცხოვრებით კმაყოფილება.

Abstract

Globally, teaching is considered as one of the jobs that require utmost responsibility since teachers are responsible for shaping future generations and contribute significantly to their development. Efficient performance of any job demands proper willingness and motivation. Teaching is no exception, which is supported by numerous studies. Therefore, the current research thought it interesting to explore teachers' motivation and factors that might influence it. Specifically, the goal of the present study is to understand whether job satisfaction, achieved identity (adult and social), self-esteem, and life satisfaction of school teachers can predict their work motivation. In other words, outcome variable of the present study is work motivation, divided into six subscales: Intrinsic motivation, integrated regulation, identified regulation, introverted regulation, extrinsic motivation, and amotivation. Using convenience sampling, study participants were teachers of various subjects living in Georgia (N = 194). The study showed that 1) work satisfaction positively predicts intrinsic motivation, integrated regulation, and identified regulation while it negatively predicts amotivation; 2) social identity positively predicts intrinsic motivation, integrated regulation, identified regulation, and introverted regulation; 3) self-esteem negatively predicts amotivation; 4) Life satisfaction positively predicts intrinsic motivation, integrated regulation, and identified regulation. Based on scientific literature, study findings are discussed in the paper.

Keywords: teaching, work motivation, job satisfaction, identity, self-esteem, life satisfaction.